

## თემა 6. პეტილდღეობა და სიღარიბის პროცესი

### თემის შესწავლის შემდგომ თქვენ შეძლებთ:

- დაახასიათოთ სოციალური დაცვის მოდელები
- მოახდინოთ დასაქმების სტიმულების ანალიზი
- ახსნათ სოციალური რისკები

ნებისმიერი ქვეყნის სოციალური დაცვის შინაარსს და მისადმი მიდგომებს განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: ისტორია, ტრადიციები, ფასეულობათა სისტემა, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, სოციალური დაცვის სისტემის შინაარსი ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესაბამისად მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ზოგადად, სოციალური დაცვის სისტემები არ არის მიმართული ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად. იგი გამიზნულია მხოლოდ გარანტირებული მინიმუმის შესაქმნელად. ცხოვრების მაღალი ხარისხი ინდივიდუალური ზრუნვის საგანია, რომლის პირობებსაც სახელმწიფო ქმნის, მაგ. საგადასახადო სტიმულებით, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობით და სხვ. **სოციალური დაცვის სისტემის დანიშნულება კი ისაა, რომ შექმნას სოციალური რისკების მდგარი ზრდი და დაიცვას მოსახლეობა სიღარიბისგან.**

განვითარებული ქვეყნების სტანდარტებით - სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას სოციალური საფრთხის წინაშე მდგომი მოსახლეობა. ევროპის სოციალური დაცვის კოდექსი და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 102-ე კონვენცია ადგენს სოციალური დაცვის მინიმალურ სტანდარტებს. ორივე დოკუმენტში თითქმის იდენტური სოციალური რისკების ჩამონათვალი ერთნაირად ავალდებულებს სახელმწიფოებს მათ დაცვას. ამ დოკუმენტების მიხედვით, **სოციალური დაცვა ემყარება სოციალური საფრთხისგან საზოგადოების დაცვას, ასეთი საფრთხეა: ჯანმრთელობის დაცვა, დროებითი შრომისუნარობა, ინვალიდობა, მარჩენალის დაკარგვა, მოხუცებულობა, სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევა, უმუშევრობა, ორსულობა, ბავშვის შეძენა (საოჯახო დახმარება).** ყველა ამ შემთხვევაში განსაზღვრულია დახმარების წესი, რომლის დაცვა სავალდებულოა ევროპის ქვეყნებისთვის. სოციალური დაცვის ევროპულ კოდექსში ჯანდაცვისთვის გათვალისწინებული სერვისებია:

1. ოჯახის ექიმი (ზოგადი პრაქტიკა);
2. ექიმ-სპეციალისტი;
3. სპეციალიზებული სამედიცინო დახმარება (ამბულატორიული, სტაციონარული);
4. ძირითადი მედიკამენტები (ესენციური) ექიმის დანიშნულებით;
5. სტაციონარული მომსახურება;
6. ექიმის ბინაზე ვიზიტი.

კოდექსის შესწორებული ვერსიითა და პროტოკოლით ჩამონათვალი კიდევ უფრო იზრდება (ემატება სტომატოლოგია, რეაბილიტაცია). პროტოკოლი ასევე ადგენს მოქალაქის მხრიდან თანაგადახდის მაქსიმალურ ზღვარს, რომელიც 25%-ს არ უნდა აღემატებოდეს. მომსახურების ეს ჩამონათვალი არის მინიმუმი და ყველა ქვეყანა ცდილობს, ამაზე მეტი შესთავაზოს თავის მოქალაქეებს.

**სოციალური ერთიანობა არის საზოგადოების უნარი, უზრუნველყოს მისი ნევრების კეთილდღეობა, შეამციროს უთანასწორობა და დაძლიოს პოლარიზაცია.** საფრანგეთის რევოლუციიდან დღემდე, ევროპამ გამოსცადა საზოგადოების სოციალური გათიშულობის შედეგები, რომელიც ნოუიერ ნიადაგს უქმნის ექსტრემისტულ-ნაციისტური თუ კომუნისტური იდეების აღმოცენებას. ამან უდიდესი ზიანი მოუტანა ევროპას, ამიტომ დღევანდელი ევროპული სოციალური დაცვის სისტემა ყველა პოლიტიკური პარტიის მიერ უალტერნატივოდ არის აღიარებული. ამ იდეის მიხედვით, სოციალური დაცვის სისტემა ემსახურება საზოგადოების ყველა ფენას. ის არ ყოფს მოსახლეობას შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, გამორიცხავს ე.წ. „სარეიტინგო ქულებით“ მათ სეგრეგაციას, არ იყე-

ნებს ტერმინებს, როგორიცაა „სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახი“. მეტიც, ეს სოციალური გათიშულობის და სოციალური გარიყელობის პროცენტისად ითვლება.

### **სოციალური დაცვის მოდელები განვითარებულ ქვეყნებში**

დანიელი მეცნიერი ესპინგ-ანდერსენი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იკვლევს მაღალი კუთილდღეობის მქონე საბაზო ეკონომიკის მქონე ქვეყნების სოციალურ პოლიტიკას. 1990 წლისთვის მან ჩამოაყალიბა სოციალური დაცვის სამი ძირითადი მოდელი (საყვალთაო კუთილდღეობის სახელმწიფოთა ტიპოლოგიები). ესენია:

- 1) კონტინენტალურ-ევროპული ანუ კონსერვატიული;
- 2) სკანდინავიური ანუ სოციალურ-დემოკრატიული;
- 3) ლიბერალური.

კონტინენტალურ-ევროპული ანუ კონსერვატიული ქვეყნები (გერმანია, პოლანდია, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია), რომელიც ბისმარკის სოციალური უზრუნველყოფის მოდელს ეფუძნება, სოციალური ქსელის პირველ შემადგენელ ნაწილად სოციალურ დაზღვევას განიხილავს. მეორე სოციალურ ქსელს წარმოადგენს სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, რომელსაც ქმნის ოჯახი და მასთან დაკავშირებული საგადასახადო და ტრანსფერტული სისტემა ერთობლიობაში. მესამე, და ბოლო, ქსელი კი სოციალური უზრუნველყოფის სათანადო მომსახურების ბაზისის შექმნას გულისხმობს.

კონტინენტალურ-ევროპული სოციალური მოდელი, დაზღვევის ეფექტიანი სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოფს ადამიანთა დაცვას ძირითადი რისკებისგან (უმუშევრობა, ინვალიდობა, ავადმყოფობა და უბედური შემთხვევა, შრომისუუნარობა) დასაქმების ასაკში. ყველა ამ შემთხვევაში ერთნაირი სამართლებრივი გარანტია არსებობს ფულადი, სასაქონლო ან მომსახურების სახით დახმარების მისაღებად. სოციალური დაზღვევის მომსახურება, როგორც წესი, ფინანსდება ხელფასებზე დაფუძნებული სოციალური ანარიცხებიდან და მისი უზრუნველყოფა ხდება ადრე გამომუშავებული შემოსავლების საფუძველზე. სოციალური დაცვის ღონისძიებებს ავსებს სოციალურ დახმარებათა სფეროში განეული ხარჯები მათთვის, ვინც აღმოჩნდება გაჭირვებულ მდგომარეობაში.

**სკანდინავიური, უნივერსალური სოციალური მოდელის მქონე, ქვეყნებში (დანია, შვედეთი, ნორვეგია, ფინეთი) სახელმწიფო, პირიქით, ცდილობს მაღალი გადასახადების დაწესებით ყველა მოქალაქისათვის შექმნას ერთნაირად მაღალი შემოსავლების მიღებისა და სოციალურ სისტემაში თანაბარი მონაწილეობის პირობები. ტრანსფერტული გადარიცხვები უშუალოდ გადასახადებიდან ფინანსდება და უნივერსალურად გაიცემა, ანუ არ არის დამოკიდებული ადრე შესრულებულ სამუშაოზე. ამის მაგალითად გამოდგება შემოსავლებისგან დამოუკიდებელი სახალხო პენსია და უმუშევრობის შემწეობა დანიაში. საგადასახადო და სოციალური გადარიცხვების სისტემებში ამას ჰქვია ინდივიდუალური პრინციპი. ამ პრინციპის შედეგი ის არის, რომ ადამიანი, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე საკუთარი შემოსავალი საერთოდ არ ჰქონდა, ტრანსფერტის მიღება მაინც შეუძლია.**

**ლიბერალური, ანგლოსაქსური მოდელი** (დიდი ბრიტანეთი, აშშ, კანადა, ავსტრალია), პირველი რიგში, საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფისკენ არის მიმართული. საარსებო მინიმუმის დაფინანსება უპირატესად გადასახადებიდან ხდება, ტრანსფერული გადარიცხვები კი, როგორც წესი, საჭიროებაზე მოწმდება და მხოლოდ ამის მიხედვით ნაწილდება. თუმცა, დიდ ბრიტანეთში სოციალურ დაზღვევაზე ანარიცხების გადახდა უნდა ხდებოდეს, მაგრამ ბისმარკის სოციალური დაზღვევის მოდელისგან განსხვავებით, შენატანების ექვივალენტურობა და მწარმოებლურობა ბევერიჯის სისტემაში რაიმე როლს არ თამაშობს. ინდივიდუალური შენატანები საპენსიო ან უმუშევრობის დაზღვევაში გაიცემა როგორც ზოგადი სატარიფო ნორმა, მაგალითად, უმუშევრობის შემწეობის სახით. დიდ ბრიტანეთში სოციალური

შენატანების განსახორციელებლად შემოღებულია მიზნობრივი გადასახადები, იმ დროს, როდესაც გერმანიაში იძულებითი დაზოგვის ფორმას სთავაზობენ მოქალაქეებს.

### **დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის დახმარების პროგრამები განვითარებულ ქვეყნებში**

„დახმარების“ მიზნით ამერიკის შეერთებულ შტატებში ხორციელდება უამრავი პროგრამა, რომლის ბენეფიციარები ძირითადად დაბალშემოსავლიანი პირები არიან. პირველ რიგში, ფასდება პროგრამის რაციონალურობა (საჭიროება) – პროგრამიდან სარგებელს მიიღებს მხოლოდ ის პირი, რომლის ფინანსური რესურსი განსაზღვრულ დონეზე დაბლაა. 1968 წელს რაციონალურად შეფასებულ სახელმწიფო დახმარებაზე მოდიოდა მშპ-ს 1,8 %. 2000 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 4,1%-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ **ძირითადად გაიზარდა ნატურით განვითარების დახმარება**. ამ სახეობის დახმარებაში შედიოდა ჯანდაცვა, ფულადი დახმარება, დახმარება სურსათით, საცხოვრებელი ბინით, განათლება, მომსახურება, დასაქმება/ტრენინგები, ელექტროენერგიის ვაუჩერები და ა.შ.

1996 წელს შეიქმნა დახმარების ახალი პროგრამა, რომელსაც დროებითი დახმარება გაჭირვებული ოჯახებისთვის (*Temporary Assistance for Needy Families – TANF*) ეწოდა. მისი ძირითადი კომპონენტები იყო:

- არ იყო აუცილებელი კონკრეტული კრიტერიუმის დაკმაყოფილება. *TANF*-ის სახელწოდებაში დროებითი (*Temporary*) ხაზს უსვამს იმას, რომ ფულადი დახმარება მხოლოდ დროებითი და პირობითი ხასიათისაა;
- დროითი ლიმიტი. როგორც წესი, პირი არ მიიღებს ფულად დახმარებას ხუთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში (თუმცა შტატებს შეუძლიათ არ გამოიყენონ წესი მოსახლეობის 20%-ის მიმართ). აშშ-ში ცალკეული შტატები უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ უფრო მოკლე დროითი ლიმიტი თავისი გადაწყვეტილების მიხედვით;
- მუშაობის მოთხოვნა. ბენეფიციარი მარტოხელა დედების სულ მცირე 50% და ორმშობლიანი ოჯახის 90% უნდა მუშაობდეს ან უნდა მონაწილეობდეს წინასამუშაო მოსამზადებელ პროგრამაში.
- ბლოკური სუბსიდია შტატებისთვის. *TANF*-ის ფარგლებში კი ფედერალური მთავრობა თითო-ეულ შტატს უფინანსებს დახმარების პროგრამას; სუბსიდიის თანხა წინასწარ განსაზღვრულია. შტატი გამოიყენებს სუბსიდიას (ავსებს მას თავისი საკუთარი თანხებით) დახმარების პროგრამის განსახორციელებლად, რის შედეგადაც მას დახმარების მთელ სისტემაზე, რეციფიენტი ოჯახების ჩათვლით, სრული კონტროლის შესაძლებლობა ეძლევა. შტატი უფლებამოსილია, სუბსიდიის საშუალებით განახორციელოს ფულადი დახმარება, მოაწყოს ტრენინგი, ჩატატაროს აქციები, რომელთა მიზანია არასრულწლოვანთა ორსულობის შემთხვევების შემცირება, ქორწინებათა წახალისება და ა.შ. (შტატი ვალდებულია, დაიცვას დასაქმების სავალდებულო მოთხოვნები და მითითებული გადახდის ლიმიტი).
- დახმარების შემცირების განაკვეთი. დახმარების პროგრამებზე კონტროლის განხორციელების უფლება შტატს აძლევს იმის საშუალებას, რომ განსაზღვროს, თუ რეციპიენტის შემოსავლის ზრდასთან ერთად რა განაკვეთის მიხედვით უნდა შემცირდეს დახმარება.

### **შემოსავლის შენარჩუნება და დასაქმების სტიმული**

ამცირებს თუ არა დახმარების პროგრამა დასაქმების სტიმულს? ზრდის თუ არა იგი პირის სახელმწიფოზე დამოკიდებულების ხარისხს? – უკვე რამდენიმე წელია, ეს შეკითხვები ფრიად აქტუალურია. თუ ჩვენ უგულებელვყოფთ *TANF*ის მთელ რიგ სირთულეებს, დავინახავთ, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ორი ცვლადით ხასიათდება:

პირველი, წარმოადგენს ძირითად გრანტს (სუბსიდიას, დახმარებას), რომელსაც ინდივიდი იღებს უმჯუშევრობის შემთხვევაში – G;

მეორე კი – დახმარების **შემცირების განაკვეთს**  $t$  - რაც შეადგენს იმ განაკვეთს, რითაც **შემცირდება დახმარება**, ინდივიდის მიერ რაიმე თანხის შოვნის (გამომუშავების) შემთხვევაში.

დავუშვათ,  $G = 300$ , ხოლო  $t = 0,25\%$ . ინდივიდის მიერ 500\$-ის რაიმე სამუშაოზე გამომუშავების შემთხვევაში მისი დახმარების თანხა მცირდება  $75\$$ -ით ( $=0,25 \times 300\$$ ) და რეციპიენტს რჩება მხოლოდ  $225\$ (=300-75)$ . შენიშვნეთ, რომ დახმარების შემცირების განაკვეთი რეალურად შემოსავალზე გადასახადს წარმოადგენს, სწორედ ამიტომ აღვნიშნეთ იგი  $t$ -თი (*tax-გადასახადი*). აღსანიშნავია, რომ შეიძლება რეციპიენტს შემოსავალი იმდენად გაეზარდოს, რომ მას საერთოდ შეუწყდეს დახმარება. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში 1200\$ რაიმე სამუშაოზე გამომუშავების შემთხვევაში, დახმარების თანხა ნულის ტოლი გახდება.

აღგებრულად, მიღებული დახმარება ( **$B$  – Benefit**) უკავშირდება ძირითად გრანტს, დასაბეგრ განაკვეთსა და შემოსავლების დონეს ( **$E$** ), ამიტომ გვექნება:

$$B = G - tE \quad (6.1)$$

$$\text{ამდენად, დახმარება } B = 0, \text{ როცა: } E = G/t \quad (6.2)$$

ან  $E$ -ზე უფრო მაღალ დონეზე.

ეს ორი ტოლობა ნათელს ჰქონის ფუნდამენტურ დილემას, რომლითაც შემოსავლის შენარჩუნების სისტემა ხასიათდება. პირველი ტოლობის თანახმად, მოცემული პროგრამის დანახარჯების ფარგლებში რაც უფრო მაღალია ძირითადი გრანტი, მით მაღალია დასაბეგრი განაკვეთი. სისტემა, რომელიც დასაქმების მაღალი სტიმულებით ხასიათდება ( $t$ -ს დაბალი განაკვეთი), შესაძლოა, მხოლოდ მცირე თანხით ეხმარებოდეს იმ პირს, რომელსაც მუშაობის უნარი არ შესწევს.

მეორე ტოლობის თანახმად, რაც უფრო დაბალია დასაბეგრი განაკვეთი, მით უფრო მაღალია შემოსავლების რენტაბელობა. მაგრამ, რაც უფრო იზრდება ეს უკანასკნელი მაჩვენებელი, მით უფრო მატულობს იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებსაც შეუძლიათ დახმარების მიღება, რაც თავისთავად, ზრდის სისტემის დანახარჯს.

### დასაქმების სტიმულების ანალიზი

გავლილი სასწავლო კურსებიდან ვიცით, რომ ინდივიდისთვის არჩევანი შრომასა და დასვენებას შორის თავისუფალი დროის მუშაობით ჩანაცვლების ზღვრულ ნორმას უკავშირდება. საბიუჯეტო შეზღუდულობის წრფის დახრილობის აბსოლუტური მნიშვნელობა უდრის სახელფასო განაკვეთს. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ მომუშავე ახდენს სარგებლიანობის მაქსიმიზაციას მაშინ, როცა თავისუფალი დროის ყოველი ერთი საათის შემოსავლებით ჩანაცვლების ზღვრული ნორმა ტოლია საათობრივი ხელფასის ( $MRS = W$ )<sup>1</sup>. ამ შემთხვევაში დამატებითი მუშაობის ერთი საათით მიღებული სახელფასო განაკვეთია  $W$ .

ნახაზზე 6.1 „ა“ ნაჩვენებია თავისუფალი დრო და სამუშაო დრო. პორიზონტალურ ღერძზე აღნიშნულია თავისუფალი დრო საათებში თვის მანძილზე (და არა დღის განმავლობაში<sup>2</sup>), ხოლო ვერტიკალურზე – შემოსავალი.

ნახაზზე 6.1 „ბ“ ნაჩვენებია, თუ როგორ ზემოქმედებს *TANF*-ი შრომის შესახებ მისაღებ გადაწყვეტილებაზე. ნახაზზე 6.1 „ბ“ მოცემულია *TD* საბიუჯეტო შეზღუდულობა. დავუშვათ, რომ სმითის უპირატესობა/არჩევანი თავისუფალ დროსა და შემოსავალს შორის შესაძლებელია გამოვსახოთ სტანდარტობის მანძილზე აითვლება (ი.გ.).

<sup>1</sup> გაიხსენეთ: მიკროეკონომიკა, ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ., სახელმძღვანელო, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, გვ. 339-342.

<sup>2</sup> შენიშვნა: ვინაიდან ყოველთვიურად მისაღები დახმარების თანხის გათვალისწინებით ხდება ანალიზი, ამიტომ თავისუფალი დრო(ც თვის მანძილზე აითვლება (ი.გ.).


ტული განურჩევლობის მრუდით. ვთქვათ, სმითს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს *TANF*-ის პროგრამაში; მის შტატში ყოველთვიური დახმარებაა **100\$**, ხოლო არაცხადი დასაბეჭრი განაკვეთი კი **25%**.

როგორ იმოქმედებს *TANF*-ის პროგრამა მის საბიუჯეტო შეზღუდვაზე? ეს ფაქტი ასახულია ნახაზზე 6.1 „ბ“. დახმარების მიღებამდე სმითი მუშაობდა *FT* საათი და მისი შემოსავალი შეადგინდა *OG*-ს. სმითი საერთოდ არ მუშაობდა *Q* წერტილში და მისი შემოსავალი იყო *TANF*-იდან მიღებული 100\$ (დახმარების თანხა თვეში).

თუ სმითი იმუშავებს ერთი საათის განმვალობაში, იგი მიიღებს დამტირავებლისგან *W* შემოსავალს. თუმცა, იმავდროულად შემცირდება დახმარების თანხა  $1/4W$ -ით, მას დარჩება მხოლოდ  $3/4W$ . თუ სმითი კიდევ დამატებით ერთ საათს იმუშავებს, მაშინ ის გადავა მეორე წერტილზე საბიუჯეტო შეზღუდვაზე, რომელიც არის *U*, რაც *Q*-სგან ერთი საათით მარცხნივ და  $3/4W$ -თი მაღლა მდებარეობს.

ანალოგიურად, სმითი ყოველ დამატებით სამუშაო საათში კვლავ მიიღებს საათობრივ ანაზღაურებას ( $3/4W$ ), ვიდრე ის იმუშავებს *VT* საათის განმვალობაში, ანუ სანამ მისი შემოსავალი და გახდება ის სიდიდე, რომლის პირობებშიც იგი აღარ არის უფლებამოსილი მიიღოს დახმარება (დამატებითი საათებით მუშაობის სტიმული ის კანონია, რომლის თანახმადაც დახმარება დროებითია ანუ სმითმა იცის, რომ მას დახმარებას შეუწყვეტენ და მანამდე უნდა იშოვოს სამსახური).


ამდენად, საბიუჯეტო შეზღუდვა წარმოადგენს *QSD* ტეხილს. ამ ტეხილის *QS* მონაკვეთი  $3/4W$  (აბსოლუტური ღირებულების) დახრილობით ხასიათდება (ვინაიდან, საგადასახადო განაკვეთი 25%-ია და *QS* მონაკვეთის შესაბამის სამუშაო საათებში სმითის შემოსავალი 25%-ით იბეგრება, მას კი რჩება საათობრივი განაკვეთის  $3/4W$ ), ხოლო *SD* სეგმენტს კი გააჩნია *W* დახრილობა<sup>3</sup>.



ნახ. 6.1. „ა“ არჩევანი შრომასა და დასვენებას შორის;  
„ბ“ საბიუჯეტო შეზღუდვა *TANF*-ის ფარგლებში.


<sup>3</sup> შენიშვნა: ვინაიდან, *QSD* საბიუჯეტო შეზღუდულობის *QS* მონაკვეთზე ინდივიდს 1 საათი შრომის შედეგად შრომის საათობრივი ანაზღაურებას  $3/4$  რჩება ე. ი. ამ მონაკვეთზე დასვენების შრომით ჩანაცვლების ზღვრული ნორმა ტოლია  $MRS = 3/4W$  (ი.გ.).

საზოგადოდ, ინდივიდის გადაწყვეტილება შრომის შესახებ მისი განურჩევლობის მრუდის ფორმაზეა დამოკიდებული (ნახაზი 6.2). სმითი უფრო ნაკლებს მუშაობს, ვიდრე *TANF*-ის პროგრამის ბენეფიციარად გახდომამდე მუშაობდა (ამჟამად – *KT* საათი, ხოლო წარსულში კი – *FT* საათი).



ნახ. 6.2. შრომის მიწოდების გადაწყვეტილება *TANF*-ის ფარგლებში

აშშ-ის ზოგიერთმა შტატმა და კოლუმბიის მხარემ რეციპიენტის შემოსავლის ზრდის პირობებში უცვლელი დატოვა დახმარების თანხის დაბეგვრის 100%-იანი განაკვეთი. ამდენად, კარგი იქნებოდა გაგვეანალიზებინა ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საბიუჯეტო შეზღუდვა და დასაქმების სტიმული. მეტი სიზუსტისთვის, დავუშვათ, რომ ინდივიდი იღებს ძირითად დახმარებას 338\$-ის ოდენობით. განვიხილოთ ნახაზი 6.3.




ნახ. 6.3. დახმარების სისტემის ფარგლებში საბიუჯეტო შეზღუდვა (დამატებითი შემოსავლები 100%-იანი საგადასახადო განაკვეთით იპეგრება)

ნახაზის 6.3 თანახმად სმითი დახმარებას *P* წერტილში იღებს – იგი არ მუშაობს და მისი შემოსავალი დახმარების პროგრამიდან 338\$-ს უდრის. დავუშვათ, რომ სმითმა იმუშავა ერთი საათის განმავლობაში. გრაფიკულად იგი *P* წერტილიდან მარცხნივ გადაინაცვლებს (ვთქვათ *P<sub>1</sub>*). სმითის ერთი საათით მუშაობის შემთხვევაში მისი ხელფასია *W* აშშ დოლარი, თუმცა გახსოვდეთ, რომ მის მიერ

მისაღები დახმარების თანხა მცირდება ხელფასის თანხის ოდენობით (ვინაიდან  $t = 100\%$ ). მუშაობას სმითისთვის არ მოაქვს დამატებითი შემოსავალი – იგი კვლავ 338\$-ია. აღნიშნული პროცესი  $R$  წერტილამდე გრძელდება.  $R$  წერტილის შემდეგ მუშაობის თითოეული საათი მის შემოსავალს  $W$  დოლარით ზრდის<sup>4</sup>. ამდენად საბიუჯეტო შეზღუდულობა არის  $RD$  ტეხილი.  $RP$  სეგმენტი ნულოვანი დახრილობით ხასიათდება, ხოლო  $RD$  სეგმენტის დახრილობა ტოლია  $W$  საათობრივი ხელფასის ( $MRS = W$ ).

როგორ იქცევა სმითი შექმნილ მდგომარეობაში? ნახაზიდან 6.4 ჩანს, რომ ის ჩერდება  $P$  წერტილში (ანუ იმ წერტილში, სადაც სმითი არ მუშაობს). არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი არ იმუშავებს ნულსა და  $PR$  საათებს შორის. ანდა რატომ იმუშავებს, როდესაც შეუძლია იგივე შემოსავალი უსაქმურობითაც მიიღოს?



ნახ. 6.4.

დახმარების სისტემის ფარგლებში მუშაობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება (დამატებითი შემოსავლები 100%-იანი საგადასახადო განაკვეთით იქცევა)


ცხადია, დახმარების პროგრამა, სადაც  $t = 100\%$  ინდივიდს ყოველთვის უსაქმურობისკენ არ უბიძებს. ნახაზი 6.5 ასახავს ჯოუნისის არჩევანს. აღსანიშნავია. რომ ჯოუნის სმითის ანალოგიური საბიუჯეტო შეზღუდულობა აქვს, თუმცა, ის სარგებელს  $E_2$ -მდე ზრდის. ამ წერტილში ჯოუნის ყოველთვიურად  $MT$  საათის განმავლობაში მუშაობს. როგორც ამერიკელი მკვლევარები აღნიშნავენ, 100% განაკვეთის პირობებშიც კი, პროგრამა რეციპიენტებს არ უხშობს შრომის სტიმულს. კონიერდა რეციფიენტება იცის, რომ დახმარების პროგრამა დართულითა (5 წელი).

### დასაქმების მოთხოვნები

დახმარების მიმღებს შეუძლია იმუშაოს იმდენი, რამდენიც სურს. თუ ინდივიდი გადაწყვეტს, დახმარებით სარგებლობის პროცესში არ იმუშაოს, ეს მხოლოდ მისი ნება იქნება. აღნიშნული ტენდენციის ალტერნატიულ სქემას შრომითი მომზადება წარმოადგენს. შრომისუნარიანი მოსახლეობა სატრანსფერტო დახმარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, თუ მონაწილეობას მიიღებს შრომით საქმიანობაში და სამსახურის შეთავაზების შემთხვევაში, დაინტენს მუშაობას. შრომითი დახმარება ჩვენ მიერ შემოთავაზებული შრომის მიწოდების მოდელში საკმაოდ მარტივად განიმარტება. დავუბრუნდეთ ნახაზს 6.4 და გავიხსენოთ, რომ შეზღუდვებისგან თავისუფალი ადამიანი ნებაყოფლობით არ აირჩევს რაიმე წერტილს  $RP$  სეგმენტის გასწრივ. შრომითი დახმარება კი მას ახალ შეზღუდვას დაუწესებს: თუ

<sup>4</sup> სიმარტივისთვის, ჩვენ უგულებელვყოფთ იმ ფაქტს, რომ სმითის ხელფასი დაიბეგრება როგორც სახელფასო, ასევე საშემოსავლო გადასახადით.

იგი არ შეარჩევს  $S$ -ის მსგავს წერტილს, სადაც იგი  $SP$  საათის განმავლობაში იმუშავებს, მაშინ იგი დახმარებას ვერ მიიღებს.



**ნახ. 6.5. ინდივიდის გადაწყვეტილება 100%-იანი საგადასახადო განაკვეთის პირობებში**

*TANF*-ის პროგრამის თანახმად დახმარების მიმღები რეალურად უნდა მონაწილეობდეს შრომით საქმიანობაში. რა ზემოქმედებას ახდენს იძულებითი შრომის ფაქტორი დახმარების პროგრამის მონაწილეობა? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ჩატარდა კვლევები. დაკვირვებებმა აჩვენა, რომ აღნიშნული პროგრამების უმეტესობამ დასაქმების დონე და შემოსავლები გაზარდა და დახმარების პროგრამებით მოსარგებლეთა რაოდენობა შეამცირა.

### დროითი შეზღუდვები

*TANF*-ის პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე დროითი შეზღუდვის დაწესებაა – ინდივიდს დახმარების მიღება მხოლოდ 5 წლის განმავლობაში შეეძლო. შეამცირა თუ არა ასეთმა მიდგომამ რეციპიენტთა რაოდენობა? გამოკველევათა დიდი რაოდენობა იმაზე მიუთითებს, რომ *TANF*-მა და დროითმა შეზღუდვამ ამ მიმართულებით მაინც ითამაშა გარკვეული როლი.

### სოციალურ რისკები

ხშირად, ტერმინები სოციალური უსაფრთხოება, მაშველი სოციალური ბადე და სოციალური დაცვა იხმარება სინონიმებად, როგორც ურთიერთშემცვლელი. სინამდვილეში, თავიანთი დატვირთვით ისინი იდენტურ ცნებებს არ წარმოადგენენ. ტერმინი „სოციალური უსაფრთხოება“ იხმარება განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებაში და გულისხმობს საზოგადოების მიერ მისი წევრების სოციალური რისკებისაგან დაცვას სოლიდარობის მექანიზმის გამოყენებით.

**შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სოციალურ რისკებად აღიარებულია:**

- შრომისუნარობა (დროებითი ან მუდმივი);
- სიბერე;
- მარჩენალის დაკარგვა;
- ჯანმრთელობის გაურესება/ავადმყოფობა;
- უმუშევრობა;
- სანარმოო ტრამვები/პროფესიული დაავადებები;
- შვილების გაზრდის ხარჯები;
- გაჭირვება (საარსებო მინიმუმის არ არსებობა, სიღარიბეში ჩავარდნის რისკი).

ყველა ზემოთჩამოთვლილი სოციალური რისკი შეგვიძლია დავყოთ ორ ძირითად ჯგუფად:

- შემოსავლის უქონლობა ეკონომიკური საქმიანობის შეუძლებლობის გამო (ანაზღაურებადი სამუშაოდან). ამის მიზეზი შეიძლება იყოს ასაკი, შრომისუუნარობა (დროებითი – ავადმყოფობის გამო ან მუდმივი – ინვალიდობის გამო), უმუშევრობა, მარჩენალის დაკარგვა;

- დამატებითი ხარჯების არსებობა. ეს შეიძლება იყოს ბავშვების აღზრდასთან, ასევე, სამედიცინო მომსახურების საჭიროებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები. მაშველი სოციალური ბადე მოიაზრება, როგორც სოციალური დაცვის ღონისძიებების ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემსახურება ადამიანების სილარიბიდან ამოყვანას ან სილარიბეში ჩავარდნისაგან დაცვას.

**სოციალური დაცვა** არის ფართო ცნება, რომელიც მოიცავს როგორც სოციალური უსაფრთხოების, ისე მაშველი სოციალური ბადის ღონისძიებებს.

**სოციალური დაზღვევა** არის იმ ღონისძიებათა ერთობლიობა (მექანიზმი), რომელიც მიმართულია გარკვეული რისკების სოლიდარობის (ანუ, რისკების გადანაწილების) პრინციპით უარყოფითი შედეგების შერბილებასა და კომპენსაციაზე, განურჩევლად იმისა, სახელმწიფო ახდენს დაფინანსებასა და ადმინისტრირებას, თუ კერძო სექტორი. სოციალური დაზღვევა ფინანსდება სადაზღვევო შენატანებით.

**სოციალური დახმარება** მოიაზრება, როგორც საზოგადოებრივი რესურსების გადანაწილების სისტემა, რომელიც მიმართულია გაჭირვებაში მყოფი იმ ადამიანების (ჯახახების) ყოფის გაუმჯობესებაზე, რომლებსაც სილარიბეში ყოფნა ან სილარიბეში ჩავარდნა ემუქრება ამ ჩარევების გარეშე. სოციალური დახმარების ფულად სარგებელს უწოდებენ შემწეობას, ხოლო არაფულად სარგებელს – შეღავათებსა და სოციალურ სერვისს.

**სილარიბე** – ადამიანის, ან ოჯახის ისეთი მდგომარეობაა, რომელშიც ის მოკლებულია თავისი ძირითადი მოთხოვნილების (საკვები, თავშესაფარი, ფიზიკური უსაფრთხოება, საბაზო განათლებისა და პიროვნული ზრდის შესაძლებლობა, ჯანმრთელობა, კომუნიკაცია), დაკმაყოფილების შესაძლებლობას, უსახსრობის, ანდა დაბალი შემოსავლის გამო.

განასხვავებენ **აბსოლუტურ და შეფარდებით სილარიბეს**<sup>5</sup>. აბსოლუტური სილარიბე ნიშნავს საბაზისო საჭიროებების არქონას, რაშიც იგულისხმება საცხოვრებელი, საკვები, წყალი, ჰიგიენა, ტანსაცმელი და ჯანდაცვა. ეს ცნება ყველა ქვეყანაში ერთნაირად განისაზღვრება.

**ფარდობითი სილარიბე** ნიშნავს, როდესაც ინდივიდი ვერ სარგებლობს ცხოვრების იმ მინიმალური დონით, რომელიც განსაზღვრულია მთავრობის მიერ, და რომელიც განსხვავედება ქვეყნების მიხედვით.

სილარიბე შეიძლება იყოს ქრონიკული (მუდმივი) ან დროებითი და საზოგადოდ ის უკავშირდება უთანასწორობას, რომელიც თავის მხრივ არის ქონების მიხედვით, შემოსავლისა და მოხმარების მიხედვით.

შესაძლებელია, რომ ინდივიდი მთელი სიცოცხლის მანძილზე ცხოვრობდეს სილარიბეში (რასაც სიცოცხლის მანძილზე სილარიბე ეწოდება) ან დროებით მოხვდეს სილარიბის ზღვარს მიღმა. **საოჯახო მეურნეობების სილარიბის** ქვეშ გულისხმობენ ისეთ მოვლენებს, როდესაც ბავშვებს არ მიუწვდებათ ხელი იმ დახმარებაზე, რომლებსაც მშობლები იღებენ და პირიქით, როდესაც დახმარებას იღებენ ბავშვები, რომლითაც ვერ სარგებლობენ ოჯახის უფროსი წევრები (მაგალითად განათლება, ჯანდაცვა და სხვა). მეცნიერთა დავა მიმდინარეობს სილარიბის ზღვარის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ზოგიერთები ფიქრობენ რომ ასეთი ზღვარის დაწესება იწვევს საზოგადოების ორ ნაწილად გაყოფას, სხვები ასაბუთებენ, რომ სასურველია გამოიყოს ამ ორი ფენის თანაკვეთის არეც, სადაც მოხვდება ის ფენა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „კვაზი-ლარიბი“<sup>6</sup> (როცა ნათლად არც ლარიბია და არც

<sup>5</sup> <http://www.businessdictionary.com/definition/poverty.html>

<sup>6</sup> Welfare Economics, Editors Paul E. Weston, Robert N. Townsend, Nova Science Publishers, Inc. New York, 2008, p.104

არალარიბი). სიღარიბის ზღვარის საერთაშორისო დონე 2005 წელს იყო დღეში 1,5\$<sup>7</sup> დღეისათვის ეს მაჩვენებელია დღეში 2\$.

საქართველოში სოციალური დაცვა მოიაზრება როგორც ყოვლისმომცველი ცნება, რომელიც თავის თავში აერთიანებს: სოციალურ დაზღვევას, სოციალურ დახმარებას, შემწეობებს, შეღავათებს, სოციალურ სერვისებს, ბავშვების (ოჯახების) განვითარებას და სხვა.

საქართველოში სოციალური დაცვის საკითხებს კურირებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<sup>8</sup>. მის დაქვემდებარებაში შედის სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც ადმინისტრირებას უწევს რამდენიმე ათეულ სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას. სააგენტო მრავალმილიონიანი ხარჯების განმკარგავი სამსახურია, რომელიც მიმართულია მრავალფეროვანი, მომსახურებისა თუ დახმარების საჭიროების მქონე კონტინგენტის - ბენეფიციართა - სოციალური გასაცემლებით, ჯანდაცვისა და სოციალური სახელმწიფო პროგრამებით მაქსიმალური უზრუნველყოფისკენ. სახელმწიფო პენსია, სოციალური დახმარება, ჯანმრთელობის დაზღვევა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა სათანადო უზრუნველყოფა, ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა, მზრუნველობამოკლებული ბავშვების მეურვეობა-მზრუნველობა და სხვა<sup>9</sup>.

**საარსებო მინიმუმი**, ანუ მოსახლეობის სიღარიბის აბსოლუტური ზღვარი არის უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორი. იგი ღირებულებითი ფორმით გამოხატავს ცალკეული ინდივიდის (მომხმარებლის) ან სხვადასხვა ტიპის შინამეურნეობის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი, მინიმალურ საარსებო საშუალებათა (სურსათი, არასასურსათო საქონელი, მომსახურება) ერთობლიობას, ეკონომიკის განვითარების მოცემული მომენტისათვის. საარსებო მინიმუმი ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ორიენტირია, როგორც გატარებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შეფასების, ასევე მომავალი პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავების მხრივ. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი საქართველოსთვის თემაში განხილული მაჩვენებლები შესაძლებელია იხილოთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე.<sup>10</sup>

#### ძირითადი ჰერმინები:

სოციალური დაცვის მოდელები

სოციალური რისკი

სოციალური დაცვა

აბსოლუტური სიღარიბე

სოციალური დაზღვევა

შეფარდებითი სიღარიბე

#### შეკითხვები ბამეორებისთვის:

- დახასიათედ სოციალური დაცვის მოდელები განვითარებულ ქვეყნებში;
- ახსენით და გრაფიკულად გამოსახეთ საბიუჯეტო შეზღუდვა TANF-ის ფარგლებში;
- ახსენით და გრაფიკულად გამოსახეთ შრომის მიწოდების გადაწყვეტილება TANF-ის ფარგლებში;
- ახსენით და გრაფიკულად გამოსახეთ დახმარების სისტემის ფარგლებში საბიუჯეტო შეზღუდვა, როცა დამატებითი შემოსავლები 100%-იანი საგადასახადო განაკვეთით იბეგრება;

<sup>7</sup> [http://en.wikipedia.org/wiki/Poverty\\_threshold](http://en.wikipedia.org/wiki/Poverty_threshold)

<sup>8</sup> <https://www.moh.gov.ge>

<sup>9</sup> [http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=34](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=34)

<sup>10</sup> <https://www.geostat.ge/ka>

5. ახსენით და გრაფიკულად გამოსახეთ ინდივიდის გადაწყვეტილება მეტი მუშაობის შესახებ 100%-იანი საგადასახადო განაკვეთის პირობებში;
6. განსაზღვრეთ სოციალური რისკები.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გელიტაშვილი ნ., ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში, დისერტაცია ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბ., 2011, გვ. 75-77.
2. როუზენი ჰ.ს., საჯარო ფინანსები, ტომი პირველი, თბ., 2006, გვ. 182-195;
3. ჭიპაშვილი ა., სოციალური დაცვის სისტემა საქართველოში რეფორმამდე და რეფორმის შემდგომ, <https://heconomic.wordpress.com/2013/07/11/social/>
4. Welfare Economics, Editors Paul E. Weston, Robert N. Townsend, Nova Science Publishers, Inc. New York, 2008, p.97-104.
5. <http://www.businessdictionary.com/definition/poverty.html>
6. www.geostat.ge